

1993

3. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობათა საკითხებზე საქართველოს პარლამენტში გამართული დისკუსიის გამო, 1993 წლის 23 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობათა საკითხებზე საქართველოს პარლამენტში გამართული დისკუსიის გამო

საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობათა საკითხებზე საქართველოს პარლამენტში გამართულ დისკუსიასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. გაკეთდეს შესაბამისი განცხადება ქალაქ სოხუმის დაბომბვისა და გენერალ პ. გრაჩოვის მიერ რუსეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუსთან დაკავშირებით.
2. რუსეთთან ურთიერთობის პრინციპულ საკითხებზე მომზადებული ძირითადი ხელშეკრულებების პროექტის საფუძველზე საქართველოს პარლამენტში დაიწყოს დებატები.

3. საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის რ. გ. აბდულატიპოვისა და რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ს. მ. შახრაის სამუშაო ვიზიტის შესახებ კომუნიკეს ტექსტი განსახილველად გადაეცეს საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიას. კომისიამ პარლამენტს უმოკლეს დროში წარმოუდგინოს თავისი დასკვნა ამ დოკუმენტის თაობაზე.

კომუნიკეს ტექსტი გამოქვეყნდეს რესპუბლიკის ცენტრალურ გაზეთებში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსუდან ბერიძე

თბილისი, 1993 23 თებერვალი

(საქართველოს პარლამენტის უწყებები, # # 1-4, 1992-1993, გვ. 361)